ტფილისის კომიტეტის მდივანი: **მიხ. კახიანი.**

საორგანიზაციო საკითხები

(გაგრძელება იხ. „კომ." № 18)

საჭიროა უპარტიოთა შორის ჩვენი მუშაობის აღრიცხვა

უპარტიოთა შორის მუშაობა და საერთოდ პარტიის ურთიერთობა უპარტიოებთან—არის ჩვენი პარტიის ერთი ძირითადი საკითხთაგანი. ტფილისის ორგანიზაციამ ამ უპარტიოთა შორის მუშაობის დარგში დიდი სამუშაო შეასრულა. [illegible] მხოლოდ მუშაობა სისტემატიურად დაწესებულებების მოსამსახურეთა შორის. [illegible] სხდომებზე სულ უფრო და უფრო მეტი უპარტიო მუშა ესწრება. ჩვენ გვაქვს [illegible] უპარტიო მუშებზე პარტიის წევრთა ინდივიდუალური მიმართვის მეთოდი, ჩვენ პოლიტ [illegible] წრეებსა და სკოლებში უპარტიო მუშების საკმაო კადრია, ჩვენი მუშაობა ფართო კონფერენციები დიდი ხალისით იმართება და სხვ. მაგრამ გვაქვს თუ არა ჩვენ უპარტიოთა შორის მუშაობის რაიმე აღრიცხვა? თითქმის არავითარი... მაშინ როდესაც ეს აღრიცხვა ისეთი საჭიროა, როგორც პარტიის შიგნით მუშაობის აღრიცხვა...

რაიკომებმა სერიოზულად უნდა დაისვან ეს საკითხი დღის წესრიგში და პრაქტიკულადაც გადასწყვიტონ იგი.

კომიაჩეიკის ღია სხდომები.

ეს მეთოდი ფართოდ არის ხმარებული ჩვენ ორგანიზაციაში. უპარტიო მუშები ხალისით ესწრებიან კომიაჩეიკების სხდომებს, იქ ისინი ხედავენ კომუნისტების პრაქტიკულ მუშაობას და ამით განიცდიან მათ გავლენას. იაჩეიკის ღია სხდომები უნდა იმართებოდეს არა ნაკლებ ორჯერ თვეში. მაგრამ აქაც ჩვენ გვიმჩნევია ზოგიერთი დეფექტები. პირველ ყოვლისა ზედმიწევნით უნდა შემუშავებულ იქნას იაჩეიკის ღია სხდომის დღის წესრიგი, ეს შეადგენს იაჩეიკის ბიუროს (სადაც ბიურო არ არის—მდივანი) მოვალეობას. დღის წესრიგში უნდა იქნას დასმული უპარტიო მასებისთვის საინტერესო საკითხები. ტფილისის კომიტეტის მიერ წამოყენებული საკითხები [illegible] ინტერესებს [illegible] მათ. უნდა იქნას დასმული საწარმოო, სამეურნეო, მუშათა ყოფა ცხოვრების, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების და სხვა საკითხები. ამ [illegible] საჭიროა ანგარიშში იქნას მიღებული მასის განწყობილება და ყურადღება მიექცეს მის მოთხოვნილებებს. უნდა ეცადონ [illegible] ეს საკითხები [illegible] უპარტიო მასა. უპარტიოებს, რომლებიც იაჩეიკის სხდომებს ესწრებიან აქვსთ [illegible] ხმის უფლება, იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი იაჩეიკებში უპარტიოებს არ აძლევდნენ საშუალებას თავისი აზრი გამოეთქვათ ამა თუ იმ საკითხში, ვინაიდან ისინი კომუნისტები არ იყვნენ. ეს არა სწორი კი არ არის, არამედ საზიანოც. საჭიროა ის უპარტიო, რომელიც იაჩეიკის სხდომებს ესწრება, ჩაყენებულ იქნას ისეთ პირობებში, რომ გრძნობდეს თავს კოლექტივის თანასწორ უფლებიან წევრათ.

ადგილკომები, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები უნდა იყონ იაჩეიკების მთავარი ყურადღების საგანი.

პარტია მთლიანად ხელმძღვანელობს პროფესიონალურ მოძრაობას. იაჩეიკები პირველადი პარტიული ორგანიზაციები უნდა ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივ, ფაბრიკა და ქარხნების კომიტეტებს. ამ პირველ პროფორგანიზაციებს.

ამ მხრივ ჩვენმა ორგანიზაციამ ვერ მიაღწია საჭირო შედეგებს. ზოგი იაჩეიკები არ აქცევენ არავითარ ყურადღებას ადგილობრივ, ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების მუშაობას. იმ დროს, როდესაც ეს ორგანიზაციები [illegible] არიან დაკავშირებული მუშა მოსამსახურეთა მასებთან [illegible] ზოგიერთი ადგილკომები სრულიად არ [illegible] ხელში. ესენი ჩვენ უნდა დავიჭიროთ.

ადგილკომების ფრაქციებმა სისტემატიურად უნდა ჩააბარონ ანგარიშები იაჩეიკებს. იაჩეიკის ბიურომ და მდივანმა ყოველდღიური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ადგილკომების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს, ხოლო არ უნდა ჩაერიონ ამ ორგანოების პრაქტიკულ მუშაობაში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ პარტიული პროფორგანიზაციების ფრაქციებ[illegible]

მენშევიკები და კოოპერაცია

(დასასრული იხ. „კომ." № 19)

მენშევიკების ცენტრალურ ხელისუფლების უარყოფითი დამოკიდებულება კოოპერაციის საქმისადმი მშვენივრად გადმოსცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. კოოპერაციაზე მუდმივი თავდასხმა და ჯერ კიდევ თვითმპყრობელურ რეჟიმის დროს შეძენილ საქონლის წართმევა, [illegible] კოოპერატივის აპარატისთვის გვერდის ახვევა [illegible] ნაწილების დროს და სხვა.—იმ ენად [illegible] კოოპერატორებს, რომ მემარცხენე ფედერალისტებიც კი, რომელნიც [illegible] მხარს უჭერდნენ მენშევიკებს, იძულებულნი იყვნენ აშკარად გამოსულიყვნენ იმ კურსის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ მთავრობას კოოპერაციის მიმართ ჰქონდა აღებული.

მაგრამ ყველა ეს იმ მენშევიკებსაც აშფოთებდა, რომელნიც კოოპერაციის დარგში მუშაობდნენ. [illegible] ამისა, ყველა ესენი ფიქრობდნენ, რომ მდგომარეობა სასურველად გამოიცვლებოდა ადგილობრივ ერობის შემოღების შემდეგ. უფრო გულუბრყვილონი მათ შორის ჯერ კიდევ არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მენშევიკები მომავალშიც ასეთს პოლიტიკას გააგრძელებდნენ და მაშასადამე შეუძლებლად არ დაინახავდნენ თავისი დამოკიდებულების შეცვლას იმ ორგანიზაციისადმი, რომელიც ისეთის ბუნებისაა, რომ იძულებულია ებრძოლოს ბურჟუაზიულ ურთიერთობას [illegible] ფიქრობდნენ, რომ ხელისუფლება მას შემდეგ, რაც თავის მდგომარეობას განამტკიცებდა, ენერგიას გამოიყენებდა საზოგადოების ეკონომიურ გარდაქმნაში ახალ საფუძველზე

მათი იმედები არ გამართლდა. ერობის შემოღების შემდეგაც საკმარისმა დრომ გაიარა, რომლის განმავლობაშიც მენშევიკურ სახელმწიფოს შეეძლო გამოეაშკარავებინა თავისი დამოკიდებულება ყველა იმ საკითხებისადმი, რომელიც აინტერესებდა მშრომელთ. მდგომარეობა მაინც არ გაუმჯობესდა. ერობამ მტრულად დაუწყო ცქერა კოოპერაციის ინტერესებს. უფრო მეტიც: მას აზრიც დაებადა კოოპერაციის სრულიად მოსპობისა და მის ფუნქციების გადაცემისა ერობისთვის. იმავე წერილში ჩვენ შემდეგს ვკითხულობთ:

„გვეგონა ერობის შემოღება ჩვენში ცოტათი მაინც გაანელებდა კოოპერაციისადმი თითქმის სიძულვილს. ერობა და კოოპერატივები გვერდი გვერდ [illegible] თავისი მოღვაწეობის სფეროებს და ამგვარ სპეციალიზაციას შესაფერი შედეგიც მოჰყვებოდა. მაგრამ მოვტყუვდით, იმედები გაგვიცრუვდა და ცენტრის გულგრილობა კოოპერაციისადმი პერიფერიებსაც მოედო ავი სენისავით, ცენტრის მიერ კოოპერაციის აბუჩად აგდებას ადგილობრივ კოოპერაციის ჩაწიხვლა მოჰყვა.

„ოზურგეთის სამი წლის ერობის გამგეობა,—ამბობს ჩვენი ცხოვრების მემატიანე,—თავისი მოქმედებით [illegible] ოზურგეთის კოოპერატივთა კავშირს. კავშირი ყოველივე დახმარებას უწევდა ერობის გამგეობას და სცდილობდა გამოენახა მუშაობის საერთო გზა. სამაგიეროდ ერობის გამგეობის ამ მოკლე ხნის არსებობაში კავშირისათვის ზარალის მეტი არავითარი დახმარება არ გაუწევია.

საერთოდ საქმეც, განსაკუთრებით სიმინდის შეძენის, ერობა პირობებით ეყრის კერძო ვაჭრებს მაშინ, როდესაც უფრო ხელსაყრელად და სასურველად ამ საქმეს ერობის მოძმე ორგანიზაცია კოოპერატივთა კავშირი უფრო ადვილად მოაგვარებდა. ასე გასინჯეთ, ისეთი აუტანელი პირობები შექმნა კოოპერატივთა კავშირის საწინააღმდეგოდ, რომ კავშირი იძულებული შეიქნა ხელი აეღო ერობასთან ერთად მუშაობაზე: სასოწარკვეთილი, იგი მარტოოდენ თავის საკუთარ ძალებს დაეყრდნო.

გაუბედავ მეტოქობას და შექმნ[illegible] პირდაპირ თავდასხმა მოჰყვა თან. გუშინდელ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო „ზუგდიდ-სამურზაყანოს კოოპერატივთა კავშირის [illegible], [illegible] ვის არ [illegible] და გულს არ აღელვებს, როდესაც ერობის გამგეობა შეიარაღებული მილიციის მეოხებით კავშირს ავტომობილს ართმევს. განა [illegible] არ არის, რომ ერობა ხელს უშლის კავშირს [illegible] ერობის [illegible] საქმეში ერობის მესვეურთ კარგად ახსენებოდით ისიც, რომ კავშირი კრიზისში ჩაუგდა ადგილობრივ მეეტლეებს და მათი [illegible] მაშ რაღად დასჭირდა ერობის გამგეობას ასეთი ძალადობა, რათ მოისურვა მილიციის მოწვევაც კი.

გუშინდელ ნომერშივე მოთავსებული გვქონდა ცნობა, თუ რა რიგ აბრკოლებს თელავის ქალაქის გამგეობა კახეთის კავშირის საქმეს საკუთარი შენობის შეძენის საქმეს, ეს შენობა რეკვიზიციის წესით ქალაქის გამგეობამ თავისთვის დაიტოვა. ამის შესახებ [illegible] გამგეობას კავშირის [illegible] შენობის შეძენის შემდეგ გამოუტანია, არა გვგონია, რეკვიზიცია საზოგადო დაწესებულებათა შენობებს შეეხებოდეს. მაშ რაღად დასჭირდა თელავის ქალაქის გამგეობას [illegible] დადგენილების გამოტანა და [illegible].

[illegible] საერთოდ [illegible] კოოპერაცი[illegible] თავიანთ [illegible] სოციალისტებად, ისინი ფიქრობდნენ, რომ კაპიტალისტურ საზოგადოების ახალ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში [illegible] მეთოდები [illegible] და არც შეიძლება იყოს, როგორც კოოპერაციის გაუქმება და მოსპობა. ამის შესახებ [illegible] იმ დროს, როდესაც კერძო [illegible] ჰქონდა მაქსიმ[illegible] მდგომარეობის [illegible] რომელიც [illegible] ფედერალისტებისაგან [illegible], არა ერთხელ იყო [illegible] ადგილობრივად, [illegible] თავაშვებულ მოქმედების [illegible] წინააღმდეგობის გაწევად.

ეს საკითხი არა ერთხელ დასმულა [illegible] სხდომაზე, რომელშიაც ჩვეულებრივ ყველა სარაიონო კავშირის წარმომადგენლები ღებულობდნენ მონაწილეობას. საკითხის განხილვის დროს ბიუროს წევრნი აღშფოთებას გამოსთქვამდნენ კოოპერაციისადმი მთავრობის მტრულ [illegible] დამოკიდებულების გამო. ამით მაინც არ გაუმჯობესებულა მდგომარეობა კოოპერაციის განვითარების სფეროში. რაც დრო გადიოდა, ყველა რწმუნდებოდა, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობა ანტიკოოპერატიულ პოლიტიკას [illegible] სოციალისტურ [illegible]. ეს იმ დროს იყო, როდესაც მენშევიკების პარტია თავის პრინციპიალურ დამოკიდებულებას არკვევდა [illegible] კაპიტალისტებს [illegible] უფლებებს [illegible]. იმ დროს [illegible] კოოპერატივებ[illegible]. ფაქტიურად [illegible] სოფლის კომისარი [illegible] ადმინისტრატორის მოვალეობას და [illegible] კოოპერაციის პრინციპებს. ამას [illegible], რომელთაც სრულიად არ [illegible] მნიშვნელობა [illegible] კოოპერატივ[illegible] და კომისარს შორის [illegible] კავშირის [illegible] კოოპერაცია და კომისარი [illegible] ბატონობით და თარეშით.

ასეთი შემთხვევა მარტო ერთხელ არ ყოფილა. კოოპერაციისადმი ცენტრის მტრული განწყობილება [illegible] ადგილები [illegible], რომელიც არა თუ არ [illegible] ზომებს საზოგადოებრივი ინიციატივის [illegible] წინააღმდეგ, პირიქით, დახმარებას უწევდა იმათ, რომელნიც პრაქტიკულად [illegible] კოოპერაციის წინააღმდეგ ბრძოლას. მართალია, ყველა ეს [illegible] კოოპერაციის ცხოვრებაში [illegible], მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ მდგომარეობა უიმედო იყო. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრის დირექტივებით მენშევიკები ადგილობრივ [illegible] ახორციელებდნენ. [illegible] სოფლად ამას წინააღმდეგობას უწევდნენ. ყველგან კოოპერატივთა დამოუკიდებლობის დაცვა მოითხოვეს, ვინაიდან გლეხების თვალში კოოპერატივები მეტად ნდო[illegible] ვიდრე დემოკრატიული ერობები. სამეურნეო ორგანიზაციათა [illegible] შეუძლებელი იყო. [illegible] რომ პარტიულ [illegible] საკითხი [illegible] პირველ [illegible] უპარტიო [illegible] რომ პარტიულ კრებაზე დადგენილება [illegible] კოოპერაციის ხელის შეწყობის [illegible] შესახებ. ეს დადგენილება გამოტანილ იქნა [illegible] რომელიც მოითხოვდა კოოპერაციის დაცვის საქართველოში. სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი ხაზი არ შეიცვლილა და, მაშასადამე, მთავრობის დამოკიდებულებაც კოოპერაციისადმი ძველებური უნდა ყოფილიყო. ერობის [illegible] გამოტანილ იქნა განსაკუთრებით გლეხთა დასამშვიდებლად.

ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ზემოთ მოყვანილი წერილი დაიბეჭდა 1920 წლის აგვისტოს 10-ს, ე. ი. [illegible] შემდეგ. ამ წერილის ავტორი, მიუხედავად პარტიულ კრებების დადგენილებისა, შემდეგს დასკვნას აკეთებს:

„ძნელია ჩამოვთვალოთ ყველა ფაქტები ჩვენი კოოპერაციის აბუჩად აგდებისა. ძნელია აღვნიშნოთ იმ პირთა და დაწესებულებათა მოღვაწეობა, რომელთაც იერიში მიაქვთ კოოპერაციის უფლებებზე და მის უფლებრივ მდგომარეობას ძირს უთხრიან. გადაიკითხეთ ჩვენი წერილი კოოპერატივების წიგნები, ჩაიხედეთ შიგ და ბევრს, ძალიან ბევრს შემაძრწუნებელს დაინახავთ.

კოოპერაციის უფლებრივი მდგომარეობა მეტად მძიმე ნიადაგზეა აშენებული. ცენტრის საერთო განწყობილების გზით ამ მდგომარეობას უფრო ართულებს და თითქმის არარად ჰქმნის და აქედან [illegible] გადიქცა. [illegible] კოოპერაციის ძალა, [illegible] მისი [illegible] ელემენტი, მისი გამოცდილება და სახელმწიფოებრივობის შემქნელი გავლენა. აბუჩად აგდებულია მისი უფლება და აბუჩად აგდებით სურთ ამ „მოამაგეთ" დასცენ კოოპერაციის პრესტიჟი".

რასაკვირველია, არავინ ფიქრობდ[illegible], ვინაიდან [illegible] სოციალიზმის განხორციელებაზე. ხომ უკვე ცნობილია ის, რომ კოოპერაცია [illegible] შეუძლია გამოიყენოს სოციალისტურ საფუძველთა განხორციელებლად იმდენად, რამდენადაც იგი სასარგებლოა. საერთოდ და მთლიანად ის აზრი მეფობდა, რომ არსებობს ბურჟუაზიული [illegible] და [illegible] სახელმწიფო. კოოპერაცია ერთგვარი შუა ადგილი [illegible] ნორმალურ მოვლენად. საქართველოში, მენშევიკების აზრით, არსებობის უფლება უნდა ჰქონოდათ კერძო-კაპიტალისტურ ორგანიზაციებს და სახელმწიფოებრივ ორგანოებს. ამასთან ეს პარტიული და სახელმწიფოებრივ გზით [illegible] და შრომა არ [illegible] იმისთვის, რომ [illegible] ბურჟუაზიულ წყობილების [illegible]. ერთ ერთ ძლიერ საშუალებად [illegible] ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დაცვა კი ის [illegible] იმას ასახელებდნენ, რომ რუსეთში ყველაფერი დაღუპეს, იქ არ არის ჯარი, არ არის პური და სხვა. ასეთი არგუმენტებით ისინი გამოდიოდნენ [illegible] მშრომელ მოსახლეობის წინაშე და კოოპერატიული ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ილაშქრობდნენ. ერობები ადგილობრივ მაქსიმუმ ენერგიას იჩენდნენ კოოპერატივების ხელში ჩაგდების საქმეში. [illegible] თემში [illegible] წინადადება მისცა ერობის თავმჯდომარეს, ხელში ჩაეგდო კოოპერატივი და იგი ერობის საკუთრებად გადაექცია. უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატივის ქვის შენობა [illegible] გლეხთა მიერ იყო აშენებული ჯერ კიდევ მეფის რეჟიმის დროს. როგორც ეს გაიგეს, გლეხები შეიკრიბნენ და პასუხი მოთხოვეს, მაგრამ, სამწუხაროდ, თემის თავმჯდომარე სადღაც გაიპარა.

მენშევიკური პარტია გურიის კომიტეტს 1920 წლის აპრილის 9-ს სხდომაზე შემდეგი დადგენილება გამოაქვს კოოპერაციისადმი ერობის დამოკიდებულების შესახებ: კომიტეტი საჭიროდ სთვლის, რომ ყოველგვარი კულტურულ სამეურნეო ორგანიზაცია, მათ შორის კოოპერატივიც ყველა თავის კავშირებით, ერთიანდებოდეს ადგილობრივ ერობასთან და ქალაქის თვითმართველობასთან. „საერთო ბრძნული გადაწყვეტილება" გამოაქვს კომიტეტს იმ მოსაზრებათა გამო, რომელიც მოჰყავს ერთ ერთ პასუხისმგებელ მენშევიკს „გურიის ერობის ცნობებში" 1920 წლის აპრილის 4-ს თარიღით. იქ ის, სხვათა შორის, სწერს:

„ჩვენს სახელმწიფოს სავსებით გათვალისწინებული აქვს თავისი დანიშნულება და ამიტომ მიზნად ისახავს გახდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების ბატონ პატრონი და თავის ხელში მოუყაროს თავი უკვე არსებულ მწარმოებელ ძალებს.

მაგრამ ამასთანავე ვიცით ჩვენ, რომ რევოლუციამ [illegible] მხოლოდ არქაიულ ფორმას საკუთრებისას, ფეოდალურ საკუთრებას და გზა გაუკაფა უფრო ახალს, უფრო პროგრესიულ ფორმას საკუთრებისას, სახელდობრ ბურჟუაზიულს, თუმცა ერთი მხრით ჩვენ გვაქვს სრული ნაციონალიზაცია სახელმწიფოებრივ [illegible] საკუთრებათა, რაც რამდენადმე ნიადაგს უმზადებს მომავალ სოციალისტურ წყობილებას, მაგრამ თუმცა ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოს ცალი ფეხი სოციალიზმის კარებთან უდგას, ისტორიულ აუცილებლობის წყალობით, მეორე ფეხით ბურჟუაზიულ საკუთრების ნიადაგზე სდგას. ნაჩქარევი გადახვევა ამ ნიადაგიდან იმ ჯოჯოხეთამდე მიგვიყვანდა რომელიც რუსეთში ანთია. მაგრამ თუ ამ შეხედულებისა ვართ და უნდა ვიყოთ იმ ძალთა მიმართ, რომელიც კერძო პირთა განკარგულებაშია, სხვა ნაირად უნდა შევხედოთ საზოგადოებრივ დაწესებულებათა ეკონომიურ ძალებს, რომლის მიზანიც არის სამსახური მშრომელი ხალხისა, მთელი ერისა ეკონომიურ კულტურულ სფეროში. რამდენადაც ადრე გახდებიან ეს ძალები ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს ორგანიულ ნაწილებად იმდენად ადრე განხორციელდება ის ამოცანანი, რომელსაც ეს ორგანიზაციები ემსახურებოდნენ, ან უნდა ემსახურონ. ამ ორგანიზაციათა ინტერესები და ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთთან ჰარმონიულად უნდა იყვნენ შეთანხმებულნი და ერთი მეორეს უნდა ემსახურებოდნენ".

აი ნიმუში მენშევიკურ აზროვნებისა. წერილის ავტორი ამბობს, რომ მენშევიკური სახელმწიფო ცალის ფეხით სოციალიზმს უახლოვდება, მეორეთი—კაპიტალიზმს. ამიტომ [illegible] კოოპერაცია [illegible]. იმას უდრის, რომ სთქვან, აი ჩვენ მენშევიკები იმდენადვე სოციალისტები ვართ, რამდენადაც კაპიტალისტები, იმდენადვე ვანხორციელებთ სოციალიზმს, რამდენადაც ხელს უწყობთ კაპიტალიზმის განვითარებას, იმ ენად ვებრძვით კაპიტალიზმს, რამდენადაც რევოლუციის წინააღმდეგ მივდივართ. სწორეთ რომ მენშევიკური ლოღიკა არის. კერძო პირთა განკარგულებაში მყოფ ძალების წაქეზება და განვითარება, ხოლო [illegible] ორგანიზაციათა გარდაქმნა „დემოკრატიულ სახელმწიფოს ორგანიულ [illegible]"—აი ლეიტმოტივი გურიის კომიტეტის მოსაზრებისა. საჭირო არ არის იყოთ დიდი კოოპერატორი, რომ ასეთი მდგომარეობა [illegible]. ერობათა სათავეში ისეთი პირნი იდგნენ, რომელნიც სრულიად არ იცნობდნენ სამეურნეო საკითხებს. ისინი ფიქრობდნენ, რომ კოოპერაცია დაცულ იქნებოდა, როგორც ასეთი, თუ იგი სახელმწიფო ორგანიულ ნაწილად გადაიქცეოდა. მთელი მათი ყურადღება კოოპერაციის ხელში ჩაგდებისაკენ იყო მიმართული, ვინაიდან აქედან ისინი დიდ შემოსავალს მოელოდნენ. [illegible] იმას, რომ ყოველ მხრივ აქეზებდნენ და ხელს უწყობდნენ სპეკულიანტების კერძო ინიციატივას და მათ მომხმარებელთა [illegible] უგდებდნენ ხელში შესაჭმელად. თვით მათ მოინდომეს კოოპერაციის დაპყრობა იმ აზრით, რომ თავისი შემოსავალი გაედიდებინათ იმავე მომხმარებელთა ხარჯზე. [illegible] კოოპერატივების ამ [illegible] გაუქმებით მენშევიკები ფიქრობდნენ კოოპერატივთა კავშირების გაუქმებას, რომელთა არსებობაც ზედმეტი ხდებოდა.

ასეთი იყო მენშევიკურ სახელმწიფოს დამოკიდებულება კოოპერაციისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ესე იგი იმ მომენტამდე, ვიდრე ძირითად არ იქნა გადაჭრილი პოლიტიკური საკითხი საქართველოში სახელმწიფოებრივ მმართველობის ფორმის შეცვლის შესახებ.

ა. ერქომაიშვილი.

საშუალო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი დასავლეთ საქართველოში?

სახურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით იანვრის, 27-სთვის დასავლეთ საქართველოს 7 მაზრაში აკრეფილია 22 წლის სახურსათო გადასახადი 162710 ფუთი ხორბლის ერთეული, რაც შეადგენს ამ მაზრებზე გაწერილ გადასახადის 55 პროცენტს.

რომელ მაზრაში რამდენია აკრეფილი?

ქვემოთმოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რომელ მაზრას რამდენი ფუთი სიმინდით ერთეული აქვს შეწერილი, რამდენი ფუთია აკრეფილი და აკრეფილი გადასახადი შეწერილ გადასახადის რამდენ პროცენტს შეადგენს.

მაზრები	რამდენი ფუთი აქვს შეწერილი?	რამდენი ფუთია აკრეფილი?	რამდენი პროცენტია აკრეფილი?
1. შორაპნის	40,500	40,500	100,0
2. რაჭის	15,000	14,222	94,8
3. ოზურგეთის	37,500	30,000	80,0
4. სენაკის	67,500	28,984	42,9
5. ქუთაისის	67,500	27,280	40,4
6. ზუგდიდის	60,000	21,601	36,0
7. ლეჩხუმის	7,500	114	1,5
დასავლეთ საქართველოში	295,500	162,710	55,0

კამპანიის მსვლელობა.

ამრიგად დასავლეთ საქართველომ შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში შეასრულა უკვე მეტზე შეწერილ გადასახადის ნახევარი: შორაპნის მაზრამ აკრიფა გადასახადი სავსებით.

უახლოეს დღეებში შეგვიძლია ველოდოთ აკრების გათავებას რაჭის მაზრაში.

ამჟამად კარგი გზების გამო გადასახადის აკრება ქუთაისის მაზრაში ძალიან წინ წაიწევს.

საერთოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ სახურსათო გადასახადის აკრება დასავლეთ საქართველოში ჩინებულად მიმდინარეობს და გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ გაწერილ გადასახადის აკრება შესრულებულ იქნება ისე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში.

სრულიად დამოუკიდებელნი არიან იაჩეიკისაგან.

მთელი თავისი მუშაობა მათ უნდა შეუთანხმონ იაჩეიკის ბიუროს. ძალიან ხშირად იაჩეიკა, [illegible] და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დაკავშირებით ვერ იწვევს მუშა მასების საერთო კრებას. ეს არ არის კანონიერი. რაიკომებმა, რომელსაც ისინი ირჩევენ იაჩეიკების მდივნების საერთო მოხსენებას უნდა მოითხოვონ ანგარიშში პირველად პროფესიონალური ხელმძღვანელობის დარგში წარმოებულ მუშაობის შესახებ.

რუბენი.

(გაგრძელება იქნება).

ეკონომიური ცნობები

ა. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის სავალუტო კომისიის კურსი.

27 იანვარი.

ლირა	540 ათ. მან.
გირ. სტ.	3,950 ათ. მან.
დოლარი	920 ათ. მან.
10 მ. ნ. ოქრო	5,000 ათ. მან.
საბჭოთა ფულის ნიშ.	22 პროც.

ქრონიკა

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირში

— **ელექტრიკების პროფესიული კურსები.** ახლო მომავალში განზრახულია ელექტრიკების პროფესიონალური კურსების გახსნა 50 კაცისათვის. ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილია.

ქალაქის ალმასკომში.

— **მუხრანის ხიდის შეკეთება.** ხიდის ნახევარი უკვე შეკეთებულია და მასზე უკვე დადის ტრამვაი. მეორე ნახევრის შეკეთებას შეუდგებიან მოკლე დღეებში, თებერვლის პირველ ნახევარში განზრახულია შეკეთების დამთავრება და ხიდზე მიმოსვლის გახსნა.

ამ.-კავ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატში

— **საერთაშორისო გადაზავნების ფასი.** საერთაშორისო ფოსტა-ტელეგრაფის გადაგზავნების ფასის გამოსათანაბრებლად წინადადება ეძლევა ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ყველა განყოფილებას, გამგეებს გადაახდევინონ ერთ ფრანკში 70,000 ამიერ-კავკასიის და ქართული ფულის ნიშნებით, 7 მილიონი—აზერბაიჯანის ნიშნებით და 10 მილიონი სომხეთის ნიშნებით. ერთი სანტიმი უნდა უდრიდეს 700 მან. მთლიან ამიერ-კავკასიის და ქართულ ფულის ნიშნებით, 70,000 აზერბაიჯანის ნიშნებით და 105 ათასი სომხეთის ნიშნებით.

— **ტელეგრაფის ხაზის მოწყობა.** დამთავრებულია მეგრი-ორდუბათის ტელეგრაფის ხაზის გაყვანა.

მიწათ-მოქმედების კომისარიატში

— [illegible] ელექტრონულ სადგურის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა. შედგენილია პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა [illegible] ელექტრ. სადგ. [illegible] მამულში სიძლიერე იქნება 24 ცხენის ძალისა. სადგურთან განზრახულია წისქვილის და შეშის სახერხ ქარხნის მოწყობა.

საქართველოს უმაღლეს რევტრიბუნალში

— 5 თებერვალს საღამოს 5 საათზე ს. ს. ს. რ. უმაღლეს ტრიბუნალში შერეული შემადგენლობით საქართველოს უმაღლეს ტრიბუნალის თავმჯდომარის ამხ. ვაშაძის თავმჯდომარეობით, წევრებისა: ცალკე კავკასიის არმიის სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარის ამხ. კუზნარიოვის, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. პანკრატოვის, საქ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ამხ. კვანტალიანის და კომპარტიის ცეკას წარმომადგენლის ამხ. თუმანოვის შემადგენლობით დაიწყება სმოლიკის და სხვათა საქმის გარჩევა, რომელთაც ბრალდებათ სპეკულიაციის მიზნით ფიქტიურ დაწესებულებების სახელით ყალბი დოკუმენტების დამზადება. სხდომაზე შესვლა ბილეთებით.

— **ქურდობა.** 20 იანვარს, ელიაბიძის ქუჩაზე, სახლ № 65. მცხოვრებს მოქ. ადამიანცს მოპარეს ოქროს, ვერცხლის და სახლის ბარგი 250 მილიონი მანეთის ღირებულებისა. სისხლის სამართლის მილიციის მიერ მიღებულ ზომებით ქურდი ი. ჩ[illegible]ნოვი აღმოჩენილ იქნა და დაპატიმრებული. ბარგი დაკავებულია და დაუბრუნდა კუთვნილებისამებრ.

— **ინჟინრების და ტექნიკოსების საერთო კრება.** 25 იანვარს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლეში, მეტალისტთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის შენობაში შესდგა მელითონეთა, სახალხო დაწესებულების და ადგილობრივ ტრანსპორტის კავშირებში მომუშავე ინჟინრების და ტექნიკოსების საერთო კრება. კრებაზე მოისმინეს მოხსენებები სრულიად საქართველოს კონფერენციის, სრულიად საქართველოს ყრილობის და ინჟინრების მუშაობის შესახებ. დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილიდან მოსულ მოხსენებებმა. დაადგინეს ჩაებან მუშაობაში ყველა სპეციალისტი ინჟინრები, რომლებიც ამ ჟამად არ მუშაობენ თავიანთ სპეციალობაზე. ფაბრიკა ქარხნის სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საზეინკლო სკოლის ამ სკოლათ გადაკეთებით მდგომარეობა ძლიერ გაუმჯობესდება. მეტალისტთა კავშირმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ სკოლას და ახლო მომავალში აქედან გამოვლენ კვალიფიციური წითელი სპეცები.

ინჟინრების სექციის ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბიუროს თავმჯდომარემ ა. ბ. მოლჩანოვმა. რადგან, ბიურო არჩეული იყო დროებით, სა[illegible] მუდმივი ბიუროს მოწყობა, რომელშიაც აირჩიეს ინჟინრები: ივანოვი, მოლჩანოვი და იუზბაშევი.

შემდეგ დასმული იყო საკითხი საინჟინრო-ტექნიკური, სატარიფო ეკონომიური და ორგანიზაციული კომისიების არჩევის შესახებ, რომლებშიაც არჩეული იქნა სამ-სამი კაცი.

ქალაქ თბილისის ყველა ინჟინრების და ტექნიკოსების საერთო კრება დანიშნულია 28 იანვარს, დილის 10 საათზე, მუშათა სასახლეში.

— **ხაზ[illegible] კურსები.** პა[illegible] პრაქტიკულ კურსებზე, რომელიც იმყოფება განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის გამგებლობაში, მეცადინეობა იწყება ა. წ. 1 თებერვლიდან. მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით.

ხელოვნება

პროლეტარულ მწერალთა საერთო კრება.

დღეს, კვირას 10 საათზე პროფკავშირთა სახლის დიდ დარბაზში შესდგება პროლეტარულ მწერალთა საერთო კრება.

დღის წესრიგი: 1. პერიოდული ორგანოს შესახებ; 2. [illegible] მუშაობის შესახებ; 3. მიმდინარე საკითხები.

დასწრება სავალდებულოა როგორც საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქართული სექციის, ისე საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის წევრებისთვის. ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

საქართველოს კომპარტიის ცეკას დავალებით: **გ. ყურულაშვილი.**

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს 28 იანვარს „სევილიელი დალაქი“, მონაწილეობენ: პაპოვა, კავსაძე, ინაშვილი, ისეცკი და სხვანი.

— **„სინათლე“**, დღეს სახელმწიფო დრამის თეატრში ამ სეზონში უკანასკნელად წარმოდგენილ იქნება ეგ. დევანიშვილის ცნობილი პიესა „სინათლე“.

დღეს თეატრში.

სახელმწიფო ოპერა—სევილიელი დალაქი, პაპოვას, კავსაძის, ინაშვილის ისეცკის და სხვათა მონაწილეობით.

რუსთაველის თეატრი. „სინათლე“ ქართულ ენაზე. სახალხო სახლი—ქართული დრამა. საბჭოთა თეატრი—(ც. მ. ც. კ.) ყაჩაღები. პროფკავშირთა კლუბი—კინო და სიმებიანი ორკესტრი. სახელმწიფო 1-ლი კონსერვატორია—იდა ალექსანდრეს ასულის ფიდელმანის ფორტეპიანის კლასის მოწაფეთა მუსიკალური საღამო 2-ე კონსერვატორია—მეორე ხელმისაწვდომი კონცერტი: წითელ არმიელთა ცენტრალური კლუბი (ყ. ქართული კლუბი)—„მუნჯი ცოლი“ და საკონცერტო განყოფილება.

მასწავლებელთა კონფერენციები და სკოლების დათვალიერების შედეგები სენაკის მაზრაში

ყველა საღ მოაზროვნე მოქალაქისათვის დღესავით ნათელია, რომ საზოგადოთ ინტელიგენცია და კერძოთ მასწავლებლობის ნაწილი დაავადებულია ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციონურ სენით—ასეთი დაავადებულ მასწავლებლობის ხელში, მომავალი ჩვენი იმედის, ახალ თაობის, დატოვება ყოვლად დაუშვებელია და სასტიკი დანაშაულიც. საჭიროა სკოლის გაჯანსაღება და აღდგენა მასწავლებლობის განკურნება, განახლებულ შრომის სკოლის პრინციპებით მათი ზიარება. სენაკის მაზრის ალმასკომის განათლების განყოფილებას ეს კარგად ესმოდა. დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა მან აიღო ამ მიმართულებით მტკიცე და ურყევი კურსი. 1921 წლის აპრილში მან გამართა მაზრის ყველა რაიონებში მასწავლებელთა კონფერენციები, სადაც განუმარტა მათ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმა სკოლის დარგში და უჩვენა კომუნისტური გეზი სწავლა აღზრდის საქმეში. ამავე წლის სექტემბერ ოქტომბერში იმავე რაიონებში მოაწყო სამდღიანი კონფერენციები. სადაც მიაწოდა მასწავლებლობას შრომის სკოლის მთავარი პრინციპები და გეგმა მომავალ მუშაობისა. მენშევიზმის ბაცილებმა აღარ მოასვენა საგრძნობი ნაწილი მასწავლებლობისა, აამოძრავა არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგოთ, სკოლის ბოროტი ზრახვებისათვის გამოსაყენებლად. აუცილებელ საჭირო შეიქნა მასწავლებლობის შემადგენლობის გადახალისება ამ მიზნით განათლების განყოფილებამ სამაზრო ალმასკომის ხარჯზე 1922 წ. ზაფხულზე მოაწყო ქ. ახალ-სენაკში სამაზრო წითელი პედაგოგიური კურსები, რომელმაც მოგვცა დაახლოვებით 100 დე წითელი მასწავლებელი პოლიტიკური რწმენით კომუნისტი, თანამგრძნობი ან უპარტიო, რომელიც იზიარებს საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას.

მასწავლებლობის კონტრ-რევოლიუციონურმა ნაწილმა ბევრი დაბალი ხარისხის ეპიტეტებით შეამკო ეს კურსები, მწვავე ირონია მოავლად ისმოდა. რა გაეწყობა, ჩვენ გვირჩევნია ეს ახალგაზრდა „ბავშვი მასწავლებელნი“, რომელნიც არ არიან დაავადებული მენშევიზმის ბაცილებით, ვინემ „მეცნიერულად“ აღზრდილი კონტრ-რევოლიუციონურ მასწავლებელნი, რომელნიც სწამლავენ ნორჩ ახალ-გაზრდობას და ამზადებენ მათ ბურჟუაზიის ლაქიებად.

სექტემბრის თვეში შესდგა მასწავლებელთა გამწმენდი ხუთეული (კომისია), რომელმაც შესაძლებლობის ფარგლებში მოაშორა მაზრას პოლიტიკურად დაავადებული მასწავლებლობა და განაწილა წითელი მასწავლებელნი. სკოლებში მუშაობა დაიწყო.

ნოემბერ დეკემბერში განათლების განყოფილებამ ისევ მოაწყო კონფერენციები მაზრის ყველა რაიონში (ახალ-სენაკში—4 ნოემბერს, მარტვილში—8 დეკემბერს, ბანძაში—10 დეკემბერს, სალხინოში—17 დეკემბერს, ნოქალაქევში—19 დეკემბერს და აბაშაში—23 დეკემბერს). კონფერენციებს დაესწრო მასწავლებლობის თითქმის 100 პროც. კონფერენციებზე კეთდებოდა ორი მოხსენება.

პირველი აშუქებდა პრაქტიკულ მეთოდიურ საკითხებს, ხოლო მეორე — ორგანიზაციულ პრაქტიკულს ორივე მოხსენება იყო ვრცელი და ჩამოყალიბებული კონკრეტიულ თეზისებში, ეს თეზისები, დაბეჭდილი, უკვე გაეგზავნა სკოლებს. მოხსენება იყო ახლოს სინამდვილესთან, სკოლის პრაქტიკულ ცხოვრების, აშუქებდა საკითხებს პრაქტიკულად მიდგომის თვალსაზრისით. არავითარი ფანტასტიურს, მოუხერხებელს დღევანდელ პირობებში ადგილი არ ჰქონდა.

კონფერენციებს წინ უძღოდა სკოლების დათვალიერება და მომხსენებლები სარგებლობდენ სკოლის სინამდვილეში აღებული მასალებით. კონფერენციამ მიიზიდა გარეშე პარტიული და უპარტიო მასებიც. მიუხედავად ხანგრძლივი საუბრისა დამსწრენი დაღალობას არ გრძნობდენ. კონფერენციები გრძელდებოდა ერთი დღე და ღამე.

კონფერენციები თავდებოდა განათლების განყოფილების ხარჯზე მოწყობილი ვახშმით, რომელიც სადილიც იყო. ამ ვახშამზე საქმიანი საუბარი და შეკოწრული ერთსულოვნება უფრო აძლიერებდა შთაბეჭდილებას და ღრმა კვალს ტოვებდა დამსწრე მასწავლებლობაზე. ამ კონფერენციებმა მიიღო პოლიტიკური მნიშვნელობა. ასეთი ხასიათის მასწავლებელთა კონფერენციები პირველია თუ სხვაგან არა სენაკის მაზრაში მაინც. კონფერენციების შემადგენლობას სიგნით ეტყობოდა გადახალისება, კონტრ-რევოლიუციონური მენშევიზმით დასნეულებული სული არსად ჩანდა.

წარსული წლის ნოემბერსა და დეკემბერში მაზრის ყველა სკოლა და ტექნიკუმი იქნა დათვალიერებული გარდა ინსტრუქტორებისა პირადათ განათლების გამგის მიერ. ამ დათვალიერებას ჰქონდა საქმიანი ხასიათი.

განათლების განყოფილების გამგემ პირადათ გამართა საუბარი ტექნიკუმების მოწაფეებთან ქ. ახალ-სენაკსა, აბაშასა და მარტვილში.

პირადმა საუბარმა და უშუალო კავშირმა მოწაფეებში ბევრს გაუგებრობას მოუღო ბოლო და გაფანტა აგენტებისაგან შექმნილი პროვოკაციული ბურუსი. კონფერენციებმა სკოლებისა და ტექნიკუმების დათვალიერებამ და მოწაფეებთან საუბრის გამართვამ დაგვარწმუნა შემდეგში:

სკოლები შესდგომია გაჯანსაღების გზას, იჩენს სიცოცხლეს, მასწავლებლობა იჩენს ინტენსივობას, სკოლებს ეტყობა წითელი მასწავლებლობის ზეგავლენა, ბურჟუაზიის მოარშიყე წრეულის შეპყრობილი დახავსებული „ინტელიგენტი“ მასწავლებლობა ზოგან აქა იქ ჩანს, სასოწარკვეთილად გაჰყურებს, ბუნებრივ პოლიტიკური სიკვდილის წინაშე მდგარი, ზოგი ლამობს „შემოწითლებას“; მოწაფეობას მეტი სიბეჯითე ეტყობა, წესრიგი [illegible] ნორმალურ კალაპოტში, მაზრის ყველა სკოლებში შემოღებულია მოწაფეთა თვითმართველობები, რაც წესრიგს მოწაფეობაში ამტკიცებს და მოწაფეობას შეგნებულად აყენებს სამოქალაქო გზაზე. განწყობილება მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის თანდათან ნორმალურ ხასიათს ღებულობს. საზოგადოება დიდი სიხარულით ეკიდება საქმეს, აგებს ახალ შენობებს, აძლევენ ძველს, იძენენ სასკოლო ინვენტარს, საკუთარი საშუალებით ქირაობენ დამატებითი მასწავლებლებს და სხვ.; კონტრრევოლიუციური ბუნტის განწყობილება მასწავლებლობაში უმნიშვნელო გამონაკლისით საგრძნობლად ჩაკლულია, ეს საგრძნობლად დაადასტურა განათლების მუშაკთა კავშირის კრებებმა ტექნიკუმში. მოწაფეებს [illegible], მას მშრომელ მასისაკენ გადახვრა აშკარად ეტყობა, მთელ ამ შრომის სკოლის მოწაფეობაზე მეტია ლაპარაკი. ყველა ტიპის და [illegible] შკოლებში მეფობს მუშური სული, ძმური ატმოსფერო, მოწაფეების მიერ მუშურ დღესასწაულებში მონაწილეობის მიღებამ ამაში აშკარად დაგვარწმუნა.

საჭიროა მხოლოდ განათლების განყოფილება შეურყევლად და საქმიანად იდგეს თავის სადარაჯოზე, მუშაობაში არ გამოერიოს კაპიტალისტური ცხოვრება, მუდმივად უკაკუნოს სკოლის კარებს, იჩინოს უშუალო ამხანაგური საქმიანი დამოკიდებულება მასწავლებლობასა და მოწაფეებთან, შეინარჩუნოს აქტივობა და ეს აქტივობა გადაიტანოს სკოლებში; სამაზრო ალმასკომმა ჩვეულებრივი სიმტკიცით შესაძლებლობის ფარგლებში განაგრძოს დახმარება განათლების განყოფილებისთვის და აღებული კურსი არ შეასუსტებინოს, ხოლო განათლების კომისარიატმა მეტი ხელმძღვანელობა გამოიჩინოს დროულად და თავის დროზე გზავნოს [illegible] რაიონში სენაკის მაზრის განათლების განყოფილების კომუნისტური ხაზი [illegible], რომლის მომავალი სასწავლო წლისათვის მშრომელ მასას ჩააბარებს სრულიად გაწმენდილ-გაუმჯობესებულ სკოლას და მასწავლებლობას.

და ეს რომ მოხდეს საბჭოთა რესპუბლიკის მთელის მაშტაბით, საჭიროა ცენტრალურმა მუშურმა ხელისუფლებამ „განათლების ფრონტი აღიაროს პირველ ფრონტად“. ბაცილებს სპობს მზე, კონტრრევოლიუციას—განათლება.

სენაკის მაზრის ალმასკომის განათლების განყოფილების გამგე გ. ქობულია.

პროფკავშირებში

ხაშური

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება.

6 იანვარს შედგა ხაშურის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 700-ზე მეტი მუშა მოსამსახური. კრებაზე გამოცხადებულ იქნა კავშირიდან გამორიცხულთა სია, რომელიც მიღებულ იქნა ცვლილებებით და შესწორებებით. კავშირიდან გარიცხულნი ცდილობდნენ თავის გამართლებას საზოგადო კრების წინაშე, მაგრამ ამაოდ. მეორე საკითხად დღის წესრიგში იდგა საკითხი მუშათა პრესის შესახებ ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ქებაძემ, რომელმაც განმარტა მუშათა პრესის მნიშვნელობა მოუწოდა ამხანაგებს მიიღონ ფართო მონაწილეობა გაზეთების გამოწერაში, და მიაწოდონ კორესპონდენციები მუშათა და თავის კავშირის ცხოვრებიდან, როგორც ადმინისტრაციის ისე ჩვენს წრეში შემოპარულ პირების ცუდ მოქმედებათა შესახებ, რომლითაც ჩრდილს სცხებენ პატიოსან რკინის გზელების სახელს. მომხსენებელმა ძლიერ იჩივლა რომ სად. ხაშურში არის მხოლოდ ორი მუშა კორესპონდენტი ეს საკმარისი არ არის და იმ მუშებმა, რომელთაც კორესპონდენციების კარგად წერა არ ეხერხებოდა მაინც სწერონ და მიაწოდონ საუბნო კომიტეტს, რომელიც ის შეასწორებს და გაგზავნის გაზეთებში მოსათავსებლად. ამხანაგმა ილაპარაკა გაზეთების არსებობის საშუალებებზე და მიაქცია კრების ყურადღება იმ გარემოებას, რომ არსებობა ყველა გაზეთებისა დამოკიდებულია თვით მუშებისაგან, რომელთაც აუცილებლად ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ გაზეთების გამოწერაში.

მთელი კრება მოხსენებას შეხვდა დიდი თანაგრძნობით და სიტყვებით: „გაუმარჯოს მუშათა პრესას, გაუმარჯოს წითელ პროფკავშირებს“ [illegible] ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება ამხ. ქებაძისა მუშათა პრესის შესახებ, ჩვენ ხაშურის კვანძის მუშა მოსამსახურენი, მუშათა პრესას ვთვლით საუკეთესო იარაღად, რომლის საშუალებითაც ჩვენ გვეძლევა საშუალება თავისუფლად ვებრძოლოთ ზოგიერთ ადმინისტრაციისა და არა საიმედო ელემენტების ბნელ საქმიანობას. საზოგადო კრება ერთხმად ადგენს ყოველგვარ საშუალებით ხელი დაუჭიროს მუშათა პრესას და სთხოვს საუბნო კომიტეტს ყოველ მოსამსახურეს დაუქვითოს ჯამაგირიდან ნაწილი გაზეთის გამოსაწერად. არ უნდა დარჩეს ტრანსპორტზე არც ერთი ამხანაგი ერთ ერთ გაზეთზე მაინც ხელმოუწერლად.

გაუმარჯოს მუშათა პრესას, გაუმარჯოს წითელ პროფკავშირებს!

ხანდრო.

პროვინციაში

სამეგრელოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობაზე ს. ხორში.

ქ. ახალ-სენაკიდან 7 ვერსის მანძილზე ჩრდილო დასავლეთით მდებარეობს ხორშის თემის ფარგლებში მთელ სამეგრელოში ცნობილი, ლუარსაბ ლოლუასეული მამული, სივრცით დაახლოებით 200 ქცევამდე; ამ მამულის ერთი ნაწილი უჭირავს სახნავ-სათესს ადგილს; დანარჩენი კი სხვა დასხვა გვარი კულტურული ხეხილებით და მცენარეებითაა დასერილი სადაც თვალწარმტაც [illegible] და მაღლობებს სცვლის ჰარმონიულ და მასთან შეხამებული მშვენიერი მდელო, ბუმბერაზი კაკლის ხეებით და იშვიათად ძვირფასი ძელქვით“.

ეს მამული მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, ბუნებრივი მდებარეობით და ლანდშაფტით პირდაპირ ზედგამოჭრილია ეკონომიის სხვადასხვა დარგის აყვავებისათვის, სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის. სწორედ ამ გარემოებამ აამოძრავა ხორშის საზოგადოება და ჯერ კიდევ 1906 წ. მან მოიწადინა დაეარსებინა ხსენებულ ადგილზე დაბალი ტიპის სამეურნეო სასწავლებელი. ამ მიზნით ის თხოულობდა მემამულე ლოლუასაგან დაეთმო ეს მამული სასკოლო სა-

ანგარიში

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მოქმედებისა 1921 და 1922 წლებში.

(განათლების კომისარის ამხ. დ. კანდელაკის მოხსენებიდან ცაკის საგანგებო სესიაზე)

გაგრძელება (იხ. „კომ.“ № 19)

პირველი რაც სოციალური აღზრდის მთავარმა გამგეობამ გააკეთა, იყო მთელ საქართველოს ტერიტორიაზე საყოველთაო და უფასო სწავლის შემოღება ორივე სქესისათვის.

სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს ძირითად ამოცანას შეადგენს:

1. ყველა იმ სამუშაოს აღრიცხვა და შესწავლა, რაც ადგილობრივ თუ ცენტრში იქნა გაწეული მცირე წლოვანთა აღზრდისა და უფლებრივი დაცვის საქმეში.
2. პრაქტიკულად შემუშავება აღზრდის საქმის ყველა საკითხისა.
3. მოწყობა საცდელ-საჩვენებელ დაწესებულების, როგორც ლაბორატორიისა, აღზრდის საკითხების შესამუშავებლად.
4. საერთო ხელმძღვანელობა ყველა აღნიშნულ დაწესებაში (საინსტრუქტორო და საინსპექტორო საქმე) და დახმარება ყოველგვარ იდეური და მატერიალური საშუალებით საქმის საუკეთესოდ დაყენებისათვის.

მთელი ეს სამუშაო სოციალური აღზრდის მთავარ მმართველობის მიერ შესრულებულ იქმნა შემდეგი მთავარი განყოფილების შემწეობით:

1) სასკოლო;
2) სკოლის ასაკამდე აღზრდის;
3) მცირე წლოვანთა უფლებრივი დაცვის და ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის;
4) საინსტრუქტორო და ორი სექციის: ა) სალიტერატურო და [illegible] ბ) საპედაგოგიო.

სასკოლო განყოფილება

სასკოლო განყოფილებამ შეასრულა შემდეგი ხასიათის სამუშაოები: გამოჰყო გიმნაზიის 4 პირველი კლასი, შეაერთა ისინი უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებთან და შექმნა ერთიანი შრომის სკოლა 8 წლის კურსით (1 რვეული წარმოადგენს საბავშო ბაღს 6 და 7 წლის ბავშვებისათვის) ამავე დროს შექმნილი ერთიანი შრომის სკოლისთვის განსაკუთრებული კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა სანიმუშო, დროებითი პროგრამები. ეს პროგრამები გამოიცა ცალკე წიგნად როგორც ქართულ, ისე სომხურ ენაზე. მაგრამ ეს პროგრამები დროებითია და სანიმუშო, ისინი სავალდებულო არაა ყველა სკოლისათვის, რომელთაც შეუძლიან [illegible] დაყრდნობილ კვლევა-ძიებისა და გამოცდილების მიხედვით გააღრმაონ და გააფართოვონ მუშაობა.

საცდელ საჩვენებელ დაწესებულებათა მუშაობა. რადგან პროგრამა რადიკალურია, ხოლო სამუშაო რთული და რადგან ამ საქმეში წარსულს ჩვენთვის არავითარი გამოცდილება არ მოუცია, თავისთავად აშკარაა, რომ ხსენებული პროგრამები იდეალურად ვერ ჩაითვლება. ამიტომ, ამ ჟამად საცდელ საჩვენებელ სკოლებში ინტენსიური მუშაობაა სოციალური და კომუნისტური აღზრდის საკითხების შესამუშავებლად. საცდელ-საჩვენებელ სკოლებში სწარმოებს ორგვარი მუშაობა ექსპერიმენტალური და საჩვენებელი. პირველ სამუშაოს პრაქტიკული და თეორიული კვლევა-ძიების ხასიათი აქვს; ხოლო მეორე სამუშაო, რომლის დაწესებულებათა კარებიც ღიაა განათლების ყველა მუშაკისათვის, სცდილობს ნათლად აჩვენოს ყველას ამ გამოცდილებისა და კვლევა-ძიების შედეგი. საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებების მუშაობამ ეგრედ წოდებულ საკომპლექსო მეთოდის (საგნების გაერთიანება ერთი მასწავლებლის ხელმძღვანელობით) გამოყენებაში დიდი ნაყოფი გამოიღო. ეს მეთოდი მიღებულია პირველ ოთხ ჯგუფში [illegible], პედაგოგიური ჟურნალის უქონლობის გამო, განათლების მომუშავე მასისთვის ვერ მიეწოდა ყველა ის შედეგი, რაც მიღებულ იქნა საცდელ და მეთოდიური მუშაობის დროს აღნიშნულ დაწესებულებებში. ხოლო რესპუბლიკის შრომის სკოლებში გატარება ყველა იმისა, რაც აღნიშნულ დაწესებულებებმა მოგვცეს, შეუძლებელია, რადგან პირველი—არა გვყავდა საკმაო მომზადებული ხელმძღვანელნი, მეორე ობიექტური პირობები ხელს არ უწყობენ ამას (სკოლები არ არის მომარაგებული საჭირო მასალებით და ხელსაწყოებით) და მესამედ—საჭიროა ხანგრძლივი ყოფნა ბავშვებისა სკოლაში) ოჯახის გავლენის იზოლიაციისათვის), ხოლო ამისათვის აუცილებელია მოწყობა თუნდაც მარტო სასადილოების, რაც ჩვენ საცდელ საჩვენებელ დაწესებულებებშიაც—კი ვერ მოვახერხეთ. მიუხედავად მაინც სკოლის ცხოვრებასა და მუშაობაში შეტანილი იქნა ძირითადი ცვლილებანი—ჩვენი სკოლა აუცილებლად მთლიანია და შრომითი, საგნების სწავლების საფუძვლად უდევს შრომითი პრინციპი. ბევრ სკოლასთან მოწყობილია სახელოსნოები (საზეინკლო, სადურგლო-საკალატოზო და სხვ.).

პროფესიონალური სკოლების რეორგანიზაცია. სასკოლო განყოფილებამ განახორციელა პროფესიონალური სკოლების რეორგანიზაცია, ისინი წინად სახელოსნოებს უფრო წარმოადგენდნენ, ვიდრე სკოლებს. ნაწილი ამ სკოლებისა (3 სკოლა), სადაც მოსწავლენი 15 წლისაზე უფროსი არიან, გადაკეთდა მუშათა ფაკულტეტის სექტორს, ხოლო დანარჩენი (5 სკოლა) გადაკეთებულ იქნენ ერთიანი პროფესიონალური შრომის სკოლებად, სადაც მიღებულია საზოგადო განათლების საგნები, შრომის სკოლის პროგრამის თანახმად. ამ სკოლებში შედიან შრომის სკოლის (სწავლების მეხუთე წლიდან) ის მოწაფეები, რომელნიც სასკოლო ასაკს გადასცდენ და რამდენიმე ჩამორჩენილნი არიან.

სკოლის გარეშე მუშაობა. სასკოლო განყოფილებამ ყურადღება მიაქცია ბავშვებთან მუშაობას სკოლის გარეშეც, რისთვისაც მოაწყო სკოლა-კლუბი, ბიბლიოთეკა კოლექტორი, რომელიც შემდეგში (თუ სახსარი გვექნება) პროვინციასაც გაუწევს სამსახურს. უნდა გამოვტყდეთ, რომ პროვინციაში არ სწარმოებს არავითარი მუშაობა სკოლის გარეშე; მიზეზი ის არის, რომ არა გვაქვს ფული და არა გვყავს მომზადებულნი ხელმძღვანელნი. სკოლის გარეშე მუშაობას კი სოციალური აღზრდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სკოლის განყოფილებასთან არსებობს ფიზიკური აღზრდის ქვე-განყოფილება, რომელიც რესპუბლიკის მასშტაბით ხელმძღვანელობს ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეს.

სკოლების რიცხვი რესპუბლიკაში. სასკოლო განყოფილება მთელ რესპუბლიკაში აღრიცხავს: 1556 შრომის სკოლა, 5 პროფესიონალური სკოლა, 3 საცდელ საჩვენებელი სკოლა, 1 სკოლა-კლუბი, საბავშო ბიბლიოთეკა-კოლექტორი და პედაგოგიური ინსტიტუტი. საბჭოთა ხელისუფლებამდე საქართველოში იყო 1618 დაბალი და მაღალი სკოლა. გამოდის, თითქოს აბსოლიუტურად სკოლების რიცხვმა იკლო, მაგრამ ნამდვილად ეს მართალი არ არის: იმატა განყოფილებათა რაოდენობამ და მოსწავლე-მასწავლებელთა რიცხვმა, რადგან ჯერ ერთი—შრომის სკოლის (რომელიც, მცირე გამონაკლისით, რვა განყოფილებას შეიცავს) დაარსებით გაერთიანდნენ წინანდელი დაბალი და მაღალი დაწყებითი სასწავლებლები და მეორე—საბჭოთა ხელისუფლებამდე არსებულ 1618 სკოლის რიცხვში შედიოდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთში არსებული სკოლები, ეხლანდელ რიცხვში კი (1556) იქაური სკოლები არ შედის.

სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილება. ამ განყოფილებას განსაკუთრებულ და მეტად ძნელ პირობებში მოუხდა მუშაობა, რადგან არ იყვნენ მომზადებული მომუშავენი და არ არსებობდა შესაფერი დაწესებულებანი. საჭირო იყო ყველაფრის თავიდან დაწყება, ყველაფრის ხელახლად მოგვარება, ამასთან მეტად მცირე თანხით და საშუალებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა.

დაწესებულებათა რიცხვი სასკოლო ასაკამდე ბავშვთათვის. მთელს რესპუბლიკაში ამ ჟამად არსებობს 34 საბავშო ბაღი (ამ რიცხვში არ შედის სკოლებთან არსებული საბავშო ბაღები), 18 საბავშო სახლი 2 კერა, 2 მუდმივი საბავშო კოლონია კოჯორში. ამას გარდა ზაფხულობით მოქმედებს 6 საბავშო კოლონიები მუშათა ბავშვებისათვის და საბავშო მოედნები, რომელნიც თავს უყრიან 830 ბავშვს.

პირველ ხანებში სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილების მუშაობას მხოლოდ ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა, ეხლა კი მთელი ყურადღება მიქცეულია დაწესებულებათა მოწყობაზე და პედაგოგიურ საქმის დაყენებაზე. ამისათვის დაარსდა სამი საცდელ-საჩვენებელი საბავშო ბაღი, რომელნიც უზრუნველყოფილნი არიან როგორც მატერიალურად, ისე საუკეთესო პედაგოგიური ძალებით კვირაში ერთხელ იმართება თათბირი ტფილისში არსებულ დაწესებულებათა მომუშავეებისა ამა თუ იმ პედაგოგიური საკითხის განსახილველად. საქართველოში სკოლის ასაკის ბავშვთათვის არსებულ სახლებში მოწყობილია მეცადინეობა შრომის სკოლის პროგრამით, ან იქაური ბავშვები დადიან მახლობელ შრომის სკოლაში, ხოლო სკოლის ასაკამდე ბავშვების სახლებში საბავშო ბაღებია მოწყობილი.

განყოფილებამ შეიმუშავა დებულება სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმისა და ინსტრუქცია მეცადინეობის წარმოებისა საბავშო ბაღებსა, სახლებსა და სხვა დაწესებულებებში.

მცირე წლოვანთა უფლების დაცვის განყოფილება. ამ განყოფილების ორგანიზაცია დაიწყო 1921 წლის სექტემბრის 1-ლ რიცხვებში წინასწარ შემუშავებული გეგმით. მოეწყო ორი ქვე-განყოფილება:

1. ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის ქვე-განყოფილება:

და 2 ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვთა აღზრდისა და განათლების ქვე-განყოფილება.

პირველმა ქვე-განყოფილებამ მიზნად დაისახა ბრძოლა ბავშვთა უპატრონობასთან და მცირეწლოვანთა უფლების დარღვევასთან. ამ მიზნით ქვე-განყოფილებასთან მოეწყო იურიდიული დახმარების სექცია და საზოგადოებრივ საწინააღმდეგო მოქმედებებში ბრალდებულ მცირე-წლოვანთა კომისია.

საბავშო კოლექტორი. ოქტომბრის გასულს განყოფილება შეუდგა კოლექტორის მოწყობას ქუჩის უპატრონო ბავშვთათვის მაგრამ შესაფერი შენობის უქონლობის გამო, კოლექტორის გახსნა თითქმის ნახევარი წლით შეჩერდა და მან მოქმედება დაიწყო მხოლოდ 1922 წლის მაისში. ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვების აღზრდისა და განათლების ქვე-განყოფილებამ ყურადღება მიაქცია იმ დაწესებულებათა აღდგენას და მოწყობას, რომელნიც ოდესღაც არსებობდენ, მაგრამ ან დაიხურნენ, ან თავიანთი ხასიათით ახლანდელ დროს აღარ შეეფერებოდნენ. ასეთ დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნიან: უსინათლოთა სკოლა, ყრუ-მუნჯთა სკოლა და ეგრეთ წოდებულ „მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის“ არსებული ავჭალის ახალშენი ოქტომბერში მოქმედება დაიწყო ყრუ მუნჯთა სკოლამ მოწაფეების მცირე რიცხვით (4), რადგან არც შესაფერი შენობა მოგვეპოვებოდა და არც მომზადებული სპეციალისტები იყვნენ. იმავე ოქტომბერში გაიხსნა უსინათლოთა სკოლა 30 ბავშვით. 1922 წლის სექტემბერში მოწაფეთა რიცხვი ამ სკოლაში 60 მდე ავიდა. საჭიროა, მორალური დეფექტის მქონე ბავშვთათვის (ძველი ტერმინოლოგიით) კვლავ აღდგენილ იქნას ავჭალის ახალშენი თვით ახალშენი ძირითად რეორგანიზაციას მოითხოვს, იგი უნდა მოეწყოს სოციალური აღზრდის საფუძველზე. ამ ახალშენში იგზავნებიან ის ბავშვები, რომელთაც საზოგადოებრივ საშიში მოქმედებანი ბრალდებათ. ახალშენში ბავშვებს გზავნის ორი დაწესებულება: ა) მცირე-წლოვანთათვის არსებული კომისია, რომელიც მოქმედებს უფლებრივი დაცვის განყოფილებასთან და რომელიც შესდგება ექიმ პსიხიატრის, პედაგოგ-ფსიხიატორის, სახალხო მოსამართლის და ორი გამომკვლევი იურისტისაგან, და ბ) უპატრონო ბავშვთა კოლექტორი, სადაც ბავშვები მცირე ხნის რჩებიან (ორი კვირიდან ორ თვემდე) და სადაც ბავშვის დეფექტს, იკვლევს კოლექტორის პედაგოგთა და ექიმთა პერსონალი. იურიდიული დახმარების სექცია მოქმედებს 1922 წლის ოქტომბრიდან. იგი აწარმოებს ყველ იმ საქმეს, რაც მცირე წლოვანის უფლებების დარღვევას ეხება, როგორიც არის მაგალითად: მზრუნველის მიერ ობლის ქონების გაფლანგვა, ბავშვების ჩათრევა სპეკულიაციაში, დარყვნელება და სხვა. რესპუბლიკის ზოგიერთ მსხვილ ცენტრებში, როგორც მაგალითად, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში და ბორჩალოს მაზრაში არსებობენ მცირეწლოვანთა უფლებების დაცვის ქვე განყოფილებანი სათანადო დაწესებულებებით.

საფუძვლად ყველა დაწესებულებას, რომელიც კი განყოფილებას ექვემდებარება, უდევს შრომითი პრინციპი. სკოლებში არის სათანადოდ მოწყობილი სახელოსნოები და ხელსაქმის კლასები უსინათლოთა სკოლას, მაგალითად, აქვს „შრიფტების“ საკუთარი სახელოსნო, კალათების საქსოვი და სხვა. ზემო ავჭალის ახალშენში არის 20 დესეტინა სახნავი საბაღე და საბოსტნე ადგილი, სადაც 3 რვეული [illegible] წლამდე ბავშვები, სპეციალისტთა ხელმძღვანელობით, სასოფლო სამეურნეო მუშაობას აწარმოებენ.

ციფრები. 1922 წლის განმავლობაში (1921 წლის დეკემბრიდან) მცირე წლოვანთა უფლების დაცვის განყოფილების ხელში გაიარა 1700 ბავშვამდე ეროვნული შემადგენლობა ამ ბავშვებისა შემდეგია: რუსი — 82 პროც. სომეხი—12 პროც., ქართველი—3 ნახ. პროც. და სხვა ეროვნებათა 2 ნახ. პროც. რადგან მთელ რესპუბლიკაში მორალური დეფექტის მქონე ბავშვებისათვის მხოლოდ ერთადერთი ახალშენი არსებობს, ამიტომ ბავშვების უმრავლესობა—672—დედ-მამის მზრუნველობას გადაეცა; 128 ბავშვი გამართლებულ იქნა, ახალშენში გაიგზავნა—91, საბავშო სახლში—17, სავადმყოფოში—28 ბავშვი, სახალხო მოსამართლეს გადაეცა 70 ბავშვი; სულ მთელი წლის განმავლობაში კომისიამ განიხილა 903 საქმე 1107 ბავშვის შესახებ, რომელთა წლოვანებაც 12—18 იყო. ვაჟების რიცხვი შეადგენდა 80 პროც., ქალების 14 პროც., 18 წლის ზე უფროსი გათხოვილი ქალებისა 6 პროცენტს.

ლიტერატურულ მხატვრული სექცია. ლიტერატურულ მხატვრულ სექციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს: მან უნდა შექმნას და განავითაროს საბავშო ლიტერატურა, მუსიკა და თეატრი. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საქართველოში საბავშო გამომცემლობის, საბავშო თეატრისა და კინოს სათანადო სიმაღლეზე დაყენება, რადგან ჩვენი საბავშო ლიტერატურა ჯერ კიდევ მეტად ღარიბია და სკოლისა და ოჯახის მოთხოვნილება ამ მხრივ სრულებით არ არის დაკმაყოფილებული დღეს არსებული საბავშო წიგნებით. ამ მხრით დაარსდა სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობასთან ლიტერატურულ-მხატვრული სექცია, რომელიც მუშაობას შეუდგა 1922 წლის ივნისში. სექციას მიზნათ აქვს: 1) შექმნა და განვითარება საბავშო ლიტერატურის, მუსიკისა და თეატრის და 2) განხორციელება უმაღლეს კონტროლისა მთელი რესპუბლიკის საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციების მუშაობებზე ამ დარგში. სექციამ უპირველეს ყოვლისა ხელი მოჰკიდა იმ წიგნებს, რომელნიც წინათ გამოდიოდნენ ახალგაზრდობის [illegible] მკითხველისათვის: პატრიოტიზმისა და [illegible]. ხელახლა გადამუშავა მათი პროგრამები და შეუდგა მათ [illegible]. [illegible] შემუშავა საბავშო გამომცემლობის გეგმა, რომელსაც შეძლებისდაგვარად ანხორციელებდა.

— **ცნობები საბავშო გამოცემების შესახებ.** სულ დაბეჭდა 17 სახელწოდების გამოცემა მხატვრული და მეცნიერულ პოპულიარული ხასიათისა. თითო წიგნი შეიცავს 16-დან 274 გვერდს. ყველა წიგნი მეტად მხატვრულად არის გამოცემული არის იმ ტიპის გამოცემანი, როგორიც ქართულ გამომცემლობას ჯერ არ უნახავს. ასეთია, მაგალითად კრებული „შემოდგომა და ზღაპარი „ბეჭედი ტურა და კუდამელა“, რომელიც ლითოგრაფიულ საშუალებით იქნენ გამოცემული, თითო წიგნი იბეჭდებოდა 2000-დან 30,000 ცალამდე. სომხურ ენაზედ გამოიცა ჟურნალი „აკრი“ და 1 წიგნი, სულ 13,000 ცალი, თათრულ ენაზე გამოიცა 1 წიგნი 1000 ცალად. სხვა და სხვა შინაარსის წიგნი გამოიცა: ქართულად 29,000 ცალი, ჟურნალი: „ნაკადული“ და „ჯეჯილი“—28,000 ცალი, მუსიკალური ნაწარმოები—1,000 ცალი; სომხურად: წიგნი—10 ათასი ცალი, ჟურნალი—3000 ცალი, მუსიკალური ნაწარმოები—1000 ცალი; თათრულად: წიგნი—1000 ცალი; სულ სამივე ენაზე გამოიცა 123,000 ცალი. მუსიკალური ნაწარმოებიდან ქართულ და სომხურ ენაზე გამოიცა „საბავშო ინტერნაციონალი“ და [illegible] კიდევ რევოლიუციონური სიმღერა. სექციამ თავისი გეგმა სავსებით ვერ განახორციელა ამ გეგმით განზრახული იყო ერთი წლის განმავლობაში გამოეცა კიდევ 14 სხვა სახელწოდების წიგნი მხატვრული და მეცნიერულ პოპულიარული შინაარსისა. ამ გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა ფულის უქონლობის გამო. ეს სამუშაო შესრულებული უნდა იქნეს მომავალში. ქაღალდისა და ფულის უქონლობის გამო, ვერ მოხერხდა რეგულიარულად საბავშო ჟურნალების გამოცემა.

ამ მუშაობის გარდა სექციამ შეიმუშავა და სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებებს დაუგზავნა ანკეტა, რომელსაც აზრად აქვს გამორკვევა იმისა, თუ როგორია მოზარდი თაობის ინტერესი მხატვრულ დარგში, სექციამ შეიმუშავა პროექტი ამიერ-კავკასიის ბოტანიკური და ზოოლოგიური ატლასების გამოცემისა: ეს ატლასები, თუ მათი გამოცემა მოხერხდა, სპეციალისტების აზრით, არა მარტო აუცილებელ სახელმძღვანელოებად გადაიქცევიან, შრომის სკოლის ბავშვებისათვის საკუთარი ბუნების გასაცნობად, არამედ დიდ განძსაც შეიტანენ მეცნიერებაში.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

უვარგისი ადგილკომი

თბილისის ბანკების მუშათა საერთო კრებამ ამა წლის 14 იანვარს 1923 წ. მოისმინა თავისი ადგილკომის ანგარიში მისი მოღვაწეობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ადგილკომი ყურადღებას არ აქცევდა კულტურულ მუშაობას, არც სამკითხველო, არც კლუბი, არც ბიბლიოთეკა მას მიერ არ იქნა მოწყობილი. არჩეული სკოლა დახურული იქნა, ვითომდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გამო. ადგილკომმა [illegible] სათანადო მიიღო.

მიღებულ რეზოლუციაში კრებამ ადგილკომის მოღვაწეობა იცნო არა დამაკმაყოფილებლად.

ამის შემდეგ ადგილობრივ კომიტეტის მიერ [illegible] ძველი ადგილკომის წამოყენებული იქნა ახალი ადგილკომის კანდიდატების სია, რომელიც კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

ბელა.

თბილისის ხაზინაში

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ყველგან დაწესებულებებში ეტყობა წინმსვლელობა კულტურულ და პროფესიონალურ დარგებში. თითქმის ყველგან არის კლუბები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. თითქმის ყველა დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთ მისდით გაზეთები და ჟურნალები. ყველა დაწესებულებაში იმართება ადგილობრივ ძალებით საღამოები, პოლიტიკური მიტინგები, წარმოდგენები და სხვა.

რაც შეეხება თბილისის ხაზინას, ის ერთი თვის წინათ იყო სრულიად ჩამორჩენილი დაწესებულება. აქ არ მოიპოვებოდა არც ერთი წიგნი და გაზეთი, კულტურული მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა შორის სრულებით არ წარმოებდა. მაგრამ მას აქეთ, რაც ამხანაგი „[illegible]“ დანიშნულ იქნა ხაზინის სამმართველოში, თითქოს ყველაფერი გამოიცვალა.

აქ დაარსდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო და გამოწერილ იქნა სხვადასხვა წიგნები და გაზეთები. ხაზინის დარბაზი მორთულია ამხ. ლენინის და რევოლუციის სხვა ბელადების სურათებით. განზრახული გვაქვს გავხსნათ კლუბი და დავდგათ ადგილობრივი ძალებით წარმოდგენები. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ადმინისტრაცია არავითარ დახმარებას არ გვიწევს ამაში და ზოგიერთ შემთხვევაში თითქმის ხელსაც გვიშლის ხოლმე.

აქაურ მუშებს ეტყობა დიდი სურვილი რევოლუციონურ სწავლა-განათლებისა და ამის შემფერხებლებს ვერავის [illegible] პროფკავშირის კულტგანყოფილებიდან მოვითხოვთ შესაძლებელ დახმარებას.

მუშა ელიკო.

ავჭალის შუშის ქარხანა

11 იანვარს შესდგა საერთო კრება ამხ. ლენინის სახელობის ავჭალის „შუშის“ ქარხნის მუშების და მოსამსახურეების კრება. კრებას დაესწრო 163 კაცი.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ნიკო სარქისოვი, მდივნად არაქელოვი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება ქარხკომისა თავის მუშაობაზე, 2) მოხსენება შემოსავალ-გასავლის და საკონფლიქტო კომისიისა, 3) ინსტრუქტორული მოხსენება ამხ. [illegible], 4) ახალი ქარხკომისა და სხვა კომისიების, 5) გაზეთ „მუშის“ გამოწერის და „მუშის“ კორესპონდენტის არჩევის შესახებ.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. სარქისოვი, რომელმაც მოკლედ დაახასიათა ქარხკომის [illegible] თავის მუშაობა. [illegible] ამხ. [illegible] და აცნობს კრებას ძველ ქარხკომის მუშაობის.

მოხსენების შემდეგ საერთო კრებამ ერთხმად ცნო, რომ ის სცნობს ქარხკომის მუშაობას სრულიად დამაკმაყოფილებლად.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ფროლოვი, მან [illegible] კრება შემოსავალ-გასავლის და საკონფლიქტო კომისიის მუშაობას, რის შემდეგ კრებამ სცნო ამ კომისიის მუშაობაც დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ გამოდის ინსტრუქტორული მოხსენებით ამხ. [illegible]. ის უხსნის მსმენელებს ადგილობრივ პროფესიონალურ მუშაობის [illegible] და ხაზ გასმით [illegible] პროფესიონალურ ფრიად ნაყოფიერ მუშაობაზე.

ამის შემდეგ [illegible] ქარხკომის არჩევნები. ქარხკომში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ნ. სარქისოვი, [illegible], გ. გოლოვი, მ. [illegible] ანანოვი და გ. [illegible], რომელთა შორის [illegible] ამხ. ნ. სარქისოვი. საკონფლიქტო კომისიაში არჩეულ იქნენ ერთხმად—ამხ. ნ. სარქისოვი და ა. ფროლოვი, მათთან კანდიდატად ამხ. ნ. ანანოვი.

კულტურულ კომისიაში კრებამ აირჩია ამხ. გ. გოლოვი, გ. ტატიანაშვილი და ი. [illegible].

სარევიზიო კომისიაში არჩეულ არიან: [illegible] შვილი, გ. მიქაძე და ი. [illegible].

არჩევნების შემდეგ ამხ. ს. არაქელოვმა [illegible] კრებას გაზეთის მნიშვნელობა საერთოდ და კერძოთ მუშებისათვის. მასთან მოიხსენებულია ამხობით, რომ გაზეთი „მუშა“ არის მუშათა გაზეთი და მუშები ვალდებული არიან მას მხარი დაუჭირონ და მისი გამოსაწერად სათანადო ფულიც გამოიღონ.

არაქელოვის მოხსენების შემდეგ საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა გამოწერილ იქნას 20 ცალი გაზეთ „მუშისა“ იმ ამხანაგებისთვის, რომელთაც იციან ქართული ენა.

ამის გარდა კრებამ დაადგინა დამატებით გამოწერილ იქნას 6—ეგზემპლიარი „[illegible]“, 3—[illegible] „[illegible]“ 3—ეგზემპლიარი „კარმირ ასტღ“ 3—ეგზემპლიარი „კომუნისტი“, რის გადასახადს ღებულობენ თავის თავზე მუშები. აქაურ მუშებს განზრახული აქვთ ეს გაზეთები წაიკითხონ დასვენების დროს ჯგუფურად.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისინი თავის მოვალეობას მშვენიერად შეასრულებენ [illegible] და [illegible].

დიახ, ეს იყო სანიმუშო მაგალითი სხვა ქარხნების, ფაბრიკების მუშებისათვის, რათა იმათაც აღმოუჩინონ კულტურული დახმარება მშრომელ გლეხობას.

მუშა—[illegible].

ქონებისთვის, მაგრამ ლოლუა ამაზე არ დასთანხმდა, და ამ რიგად [illegible] საზოგადოების ეს პირველი ცდა უნაყოფოდ ჩაიარა.

1917 წლის რევოლუციამ [illegible] ლოლუასეულ მამულზე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის და [illegible] ისევ გამოაცოცხლა და დააყენა დღიური წესრიგში.

[illegible] ის გარემოება, რომ [illegible] ინტერესებულმა გლეხებმა დასდვეს წერილობითი ხელშეწერილი, რომლის ძალით ისინი თანხმა იყვნენ ამ მამულის ნაწილ-ნაწილად დაყოფაზე, თუ კი ეს მამული დაეთმობოდა სამეურნეო სასწავლებელს; ადგილობრივ გლეხობამ ამ საქმეში იკისრა ინიციატივა და თავისი წრიდან არჩიეს, საქმის ინტერესების გამსხვილებით [illegible] პირების საშუალებით, ყოფილ ზუგდიდის მაზრის ერობის წინაშე (იმ დროს ხოლო მიეწერებოდა ზუგდიდის მაზრას) და ყუნა ლოლუასეული მამული სკოლისთვის გადაცემას აკეთებს.

მაგრამ გლეხობა მაინც ვერ ეღირსა ამ საკითხის გადაწყვეტას მის სასარგებლოდ; მენშევიკური ხელისუფლება აქ აწერდა საქმეს.

მენშევიკები გლეხებს და ამ მამულის მათთვის გადაცემის საკითხის [illegible] და ინტერესებულ პირებ შორის შუამავლობას ეწეოდნენ; [illegible] ადგილი. ამის საბუთები უქრავათ შენახულა [illegible] [illegible], კერძოდ, [illegible] პირებმა მეტრეს ისეთი კვანძი, რომლის გახსნა გამომეძიებება, გარდა დიდი შრომისა, [illegible] დაუხერხდა ადგილობრივ გლეხობას და სკოლის მეთაურებს.

მას შემდეგ რაც ლოლუას მემკვიდრეები სრულიად დაკმაყოფილებული იყვნენ მიწის ნორმით და ზედმეტი მამული მთლიანად გადაეცა უნდა ყოფილიყო სახ. ფონდში, მათ ყალბი საბუთებით წარმოადგინეს და სხვადასხვა გზით ეს ქონება სცადეს საქმე მიეცვათ თავიანთ სასარგებლოდ და, ამ რიგად, ერთი მუჭა ბოროტი პირების და გაქნილი რების მადა აღძრული ინტერესების მეოხებით, დღიური წესრიგში დასმული საკითხი 4 წლის განმავლობაში განიცდიდა თავისებურ ცვალებადობას, და, თუ შეიძლება ითქვას, ს მერყეობა თანდათან [illegible].

მხოლოდ 1920 წ. დ კ მ. [illegible] ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობა იძულებული გახდა გადაეწყვიტა ეს საკითხი გლეხების სასარგებლოდ და, ამრიგად, მთელი ლოლუასეული მამული, როგორც სახელმწიფო ხაზინის ადგილები, გადაეცა სამეგრელოს სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის განკარგულებაში.

1921 წლის თებერვლის გადატრიალების შემდეგ სამეგრელოს სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის და სხვის საკითხი ჩადგა ახალ სარეგისტრაციო კალაპოტში.

1922 წ. 16 ოქტომბრის ხარისხში [illegible] სამეგრელოს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გადაკეთება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად ამხ. ცხაკაიას სახელობით.

ჯერ კიდევ 1921 წლ. მარტში [illegible] მაზრის რევკომის [illegible] ზუგდიდის რევკომთან შეთანხმებით და [illegible] ზუგდიდის სამეგრელოს სამეურნეო ინსტიტუტი დაარსების საქმეში რწმუნებულად [illegible] რომელიც [illegible] 1917 წლიდან და რომელმაც მთელი 4 წლის მუშაობის შემდეგ [illegible] ლოლუასეული მამულის გადაცემა სახელმწიფო ფონდში სასწავლებლის საჭიროებისათვის.

[illegible] 1921 წლის [illegible] თვეებში [illegible] სამაზრო რევკომიდან მამულის [illegible] ინსტიტუტის მიწის მზომელი, რომელიც ეს დაამტკიცა [illegible].

[illegible] ადმინისტრაციის დახმარებით ამ ხნის განმავლობაში და ფართოდ.

[illegible] დღევანდელ მდგომარეობა შემდეგ სურათს იძლევა:

1) ინსტიტუტს ეკუთვნის 200 ქცევა მიწა, რომელიც 617 [illegible] შემოკავებულია თხრილით და 2000 [illegible] შემოვლებული;

2) ინსტიტუტს აქვს [illegible] თვალიანი სახლი, [illegible] სახლი—სამზარეულო.

3) ინსტიტუტს ჰქონია აქვს 20,000 საუკეთესო ლოზების ბაღი.

4) ინსტიტუტს გააჩნია მევენახეობის იარაღები, ინვენტარი, როგორიც მაგ. ცხენი, ფურები [illegible] და სრული კომპლექტი სამეურნეო იარაღებისა.

5) ინსტიტუტს [illegible] გაყვანილი [illegible] გზა და

6) ინსტიტუტს მთავარი შენობის [illegible] თემის [illegible] 1922 წლის ნოემბრის თვეში [illegible] 1000 ფუთი სიმინდი.

მამულის [illegible], რომ [illegible] ინსტიტუტი, [illegible] უკანასკნელ [illegible] [illegible] ცოდნა განვითარებისა. ინსტიტუტის სამეურნეო მოქმედება [illegible] მთელი ზუგდიდის მაზრის [illegible] ფართო მასშტაბით.

ინსტიტუტი ჯერ კიდევ მნიშვნელობის პროცესშია. ახლო მომავალში უნდა გადაიდგას [illegible] ნაბიჯი მისთვის, მთავარი შენობის ასაშენებლად. საერთოდ საჭიროა საქმის მეტი გაფართოება. ამ მიზნით უნდა გაჩნდეს ენერგიული [illegible].

თადეოზ ტაბიძე.

ტყვიავის თემი (გორის მაზრა)

ყოფილ მთავრობის დროს ტყვიავის თემი ძლიერ ჩამორჩენილი იყო. სწავლა-განათლების მხოლოდ დარღვეულ [illegible] სკოლა [illegible] საქართველოში განათლების საქმის [illegible] [illegible] ოთხი წლის განმავლობაში [illegible] სოფლებში და [illegible] 7 დაწყებითი სასწავლებელი ტყვიავის თემის შემდეგ სოფლებში: დიცი, [illegible], ფლავი, ქარელი, ქ[illegible], [illegible] და [illegible]. მხოლოდ წლებში არ დარჩება არც ერთი სა[illegible] [illegible] ტყვიავის თემში და [illegible] კოლეგიი, რის [illegible] პარტორგანიზაციის და [illegible] ორგანოების [illegible] ამ დიდ საქმისათვის. ხოლო თანდათანობით [illegible] და [illegible] სკოლები და სწავლა-განათლების საქმეში, რაც [illegible] ყველასათვის და კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებას სახალხო განათლების ფრონტზე.

[illegible] ნიჟარაძე

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 4.

ა/კ. შრ. სახ. კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოში [illegible].

28 იანვ. 1923 წ.

1. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკისათვის მიღებულ საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით 100 პროც. ზოლი ათვის-ომამდე არსებული საქონლის ფასის გამომხატველი მანეთის კურსი იანვრის თვის მეორე ნახევრისთვის—განისაზღვროს 525.000 მან. ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.

2. იმ წარმოება-დაწესებულებებში, რომლებშიც დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებებს საფუძვლათ უდევთ ომამდე არსებულ საქონლის ფასის გამომხატველი მანეთით—სატარიფო განაკვეთი, ანგარიში გასწორებული უნდა იქმნეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ კურსის მიხედვით.

3. პროვინციაში შრომის ხელფასის ანგარიშის გასწორება უნდა იწარმოოს 100 პროც. ზოლის ინდექსით, რომელიც შემცირებული უნდა იქნეს თანახმად სატარიფო ზოლებისა.

ა/კ შრ. სახ. კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ა. იაშვილი.
საერთო სორგან. განყოფ. გამგე ა. თურქია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მარქსისტულ წრეების მეცადინეობის ნუსხა 28 იანვრიდან 4 თებერვლამდე.

— კვირას—28 იანვარს დილის 11 საათზე გაიმართება ამიერ-კავკასიის საგანგ. კომისიასთან არსებულ წრის კრება, ხელმძღვანელი ამხ. გალკინი.

— ორშაბათს 29 იანვარს, საღამოს 6 საათზე გაიმართება პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილებასთან არსებული წრის სხდომა. ხელმძღვანელობს ამხ. გალკინი.

— სამშაბათს 30 იანვარს და შაბათს 3 თებერვალს საღამოს 5 საათზე, გაიმართება განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების ტფილისის სამმართველოსთან არსებული წრის კრება საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის შენობაში ხელმძღ. ამხ. გალკინი.

— ორშაბათს, 31 იანვარს, საღამოს 7 საათზე სკოლის გარეშე სწავლების სახლში გაიმართება სკოლის გარეშე სწავლების მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. პენიაკოვი.

— ორშაბათს 31 იანვარს და შაბათს 3 თებერვალს, საღამოს 6 საათზე გაიმართება ბეჭდვითი საქმის მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვანელი—ამხ. მედვედევი.

— შაბათს 3 თებერვალს საღამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტკლუბის შენობაში გაიმართება სტუდენტთა წრის კრება ხელმძღვანელი—ამხ. ნოვიკოვი.

საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტ-საპროპ. განყოფილება.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი აცხადებს ტფილისის ორგანიზაციის წევრთა საყურადღებოთ, რომ პარტიული ბილეთები უნდა მიიღონ იმ რაიონებში, სადაც გაიარეს წმენდა.

ბილეთების გაცემა დაიწყება 29 იანვრიდან

1 რაიკომში	29 იანვრიდან	1	თებერვლამდე
3 „	30 „	2	„
2 „	1 თებერ.	3	„
4 „	2 —	5	„

— სამშაბათს, 31 იანვარს, საღამოს სრულ 6 საათზე ამხ. ლენინის სახელობის პოლიტექნიკ. ინსტიტუტის შენობაში (ახალი თეატრი) ფიზიკურ აუდიტორიაში დანიშნულია განათლების მუშაკთა კავშირის 2-ე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. სრულ. საქ. განათლების მუშაკთა მეორე ყრილობის დელეგატების ასარჩევად.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა პროფდისციპლინის ძალით.

კრებაზე გამოცხადებულთა რეგისტრაცია ევალებათ რწმუნებულებს, რომელთაც აგრეთვე ევალებათ მოაბარონ იმ პირთა რეგისტრაცია, რომელნიც კრებაზე არ გამოცხადდნენ.

საქ. განათლების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე—შავრდოვი.

ბეჭდ. საქმის მუშაკთა სექციის პასუხისმგებელი მდივანი—გოლუბიანი.

პროფესიონალური

— სამშაბათს, 30 იანვარს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში (შესავალი რუსთაველის პროსპექტიდან) გაიმართება კავშირთა ცენტრალურ გამგეობათა ყველა წევრების სხდომა შრომის დაცვის განყოფილებათა გამგების და შრომის ინსპექტორთა თანადასწრებით

დღის წესრიგშია, ამხ. ბუტოვის საინსტრუქტორო ხასიათის მოხსენება „შრომის კანონების ახალი კოდექსი.“

საკითხის მნიშვნელოვანობის გამო ყველა აღნიშნულ პირთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი—გუგუშვილი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე ნატალია [illegible] შვილები: [illegible], თამარ, [illegible], კოტე, ირაკლი და ვასილი [illegible] ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 28 იანვარს ქ. ქუთაისში [illegible] ეკლესიაში გადახდილი იქნება დიდი წირვა და კანონი

სპირიდონ გიორგის ძე ლეკვეიშვილის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი.

(71—1—1)

დამწუხრებული [illegible] ასული ნინო, [illegible] დოდო და [illegible] შვილი [illegible] აცნობენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ კვირას 28 იანვარს პირველ საათზე ქაშვეთის ტაძარში გადახდილი იქნება დიდი წირვა და კანონი

სპირიდონ გიორგის ძე ლეკვეიშვილის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი.

(71—1—1)

სრულიად საქართველოს ახალი მწერლების კავშირი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ქუთაისში, 25 იანვარს, ღამის პირველ საათზე გარდაიცვალა კავშირის საპატიო წევრი პოეტი

შალვა კარმელი

დაკრძალვა 30 იანვარს ქუთაისში.

(80)

რაჟდენ გვეტაძე გულის ტკივილით აუწყებს ნაცნობებს და ახლობელთ, რომ ქუთაისში 25 იანვარს, ღამის 1 საათზე გარდაიცვალა მისი საყვარელი მეგობარი და პოეტი

შალვა კარმელი

დაკრძალვა 30 იანვარს, ქუთაისში.

(80)

რუსთაველის თეატრი

დღეს, 28 იანვარს

სტუმარ-მასპინძლობა

დასაწყისი სრულ 8 საათზე (კრ. 113—1—1)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

სალარო ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდ. გენის დამთავრებამდე

დღეს, 28 იანვარს

სევილიელი დალაქი

ბალეტი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა ხერმალულია.

(კრ. 112—1—1)

ს. მ. უ. ს.

ზომა წონის პალატა

ამით აცხადებს საზომ საწონების ყველა მფლობელთა, სახელდობრ კერძო, საზოგადო და მთავრობის პირთა, ორგანიზაციათა, წარმოებათა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ ამა მიმდინარე 1923 წელს უნდა იქნან წარმოდგენილი

შესამოწმებლად და დასადაღად

ყველა საზომ საწონი, რომელთაც არა აქვთ დაღი 1922 და 1923 წწ.

პალატაში წარმოდგენილი უნდა იქნას სასწორები საწონები, საკენი, არშინები, ღვინის სპირტის, არაყის, ლუდის, რძის საწყაოები, ბოჭკები წყლისა, ლუდისა, არაყისა და სხვა ე. ი. რითაც კი ირწყება და იზომება.

ქ. ტფილისისათვის წარმოდგენის ვადა განსაზღვრულია შემდეგ ნაირად:

1, 2, 3, რაიონებისთვის—იანვარი და თებერვ.
4, 5, 6, რაიონებისთვის—მარტი.
7, 8, 9, რაიონებისთვის—აპრილი.
10, 11, 12, რაიონებისთვის—მაისი.

პირნი რომელნიც არ წარმოადგენენ თავიანთ საზომ საწონებს, ზემო ნაჩვენებ დროის განმავლობაში, იქნებიან მიცემული პასუხის გებაში და დაჯარიმებული არა ნაკლებ ერთი მილიონი მანეთისა

1923 წ ზომა წონის პალატის დროებითი განყოფილება იქნება გახსნილი შემდეგ რაიონებში: აფხაზეთი, აჭარისტანი, ახალ-სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, შორაპნისა, ახალქალაქის, ახალციხის, გორის და ბორჩალოს მაზრებში.

ზომა წონის პალატის უფროსი ვ. გოცირიძე.
უფროსი შემმოწმებელი ს. სმირნოვი.

(კრ. 107—2—1)

ქ. ტფილისის აღმასკომის გადასახადთა

ბიურო

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს 1 ლ თებერვალს 1923 წ. შუადღის 12 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა სასტუმრო „აპოლოზე“

პირობების გაგება შეიძლება [illegible] ბიუროს კანცელარიაში [illegible] № 50. (კრ. 103—3—2)

სამოქალაქო გადასახადის გამწერებელი

კომისია

აცხადებს გადამხდელთა საყურადღებოდ,

რომ იმ პირებს, რომელთაც [illegible] არ გადუხდიათ გადასახადი, [illegible] 26 [illegible] 31-მდე [illegible] 50 კაპ. [illegible] 160 000 მან., 1 მან.—315.000 მან., 1 მან. 50 კ.—470.000 მან. და 3 მან. 940 000 მან. 1923 წ.

1 თებერვლიდან იხდიან გაორკეცებულ გადასახადს.

მუშა-მოსამსახურენი (პროფკავშირის წევრნი) საურავ გადასახადისაგან თავისუფლდებიან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიცემულ მოწმობიდან ნაჩვენები იქნება, რომ დეკემბრის [illegible] ჯამაგირი არ მიუღიათ 1923 წ. 25 იანვრამდე ჩათვლით.

იმ პირებმა, რომელნიც თავისუფლდებიან საურავ გადასახადისაგან, გადასახადი შეიტანონ ცენტრალურ სამისამართო მაღაზიაში (ოთახის № 2) პირადობის და სათანადო პროფკავშირის მოწმობების წარდგენის შემდეგ. (კრ. 114—1—1)

ს. მ. უ. ს.

ზომა წონის პალატა

საყოველთაოდ აცხადებს

რომ 1923 წ. იანვრის 25-დან გადასახადი საზომ საწონ საგანთა გასინჯვისთვის შეკრებილი

იქნება ოქროს მანეთების

კურსით.

ზომა წონის პალატის უფროსი ვ. გოცირიძე.
უფროსი შემმოწმებელი ს. სმირნოვი.

(კრ. 106—2—1)

საქართველოს ტეხნიკური საელმშენებლო ბიურო

სატსამბო

მთავარი სამმართველო: ტფილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი ტფილისი, „სატსამბო“, განყოფილებანი: ქუთაისი, ბათუმში, ახალ სენაკში

ყველაფერი ელექტროფიკაციისათვის

ელექტრონის დინამოები, ტეხნიკური მოწყობილებანი, [illegible] სამუშაოები

საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა. (კრ. 684—0—1)

სახალხო ბანკის

გამგეობა

ამით აცხადებს,

რომ ბანკის საბჭოს დადგენილებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მიერ, საქართველოს სახელმწიფო [illegible] კოოპერატიულ დაწესებულებებს მიეცათ უფლება გადაუხადონ სახალხო ბანკს კურსის განსხვავების ერთი მესამედი, ხოლო კერძო პირებმა ორი მესამედი მათი ვალების ანგარიშში, ოქროს კურსის მიხედვით, რომელსაც აწესებს ტფილისის კურსის დამწესებელი კომისია. იმ პირობით თუ ამ ვალების გადახდა მოხდება არა უგვიანეს ა. წ. 31 იანვრისა. ეს დადგენილება არ ვრცელდება იმ დაწესებულებებზე და პირებზე, რომელთაც აქვს სესხი ოქროთი და უცხოეთ ვალუტით.

სახალხო ბანკის გამგეობა სთხოვს ზემოხსენებულ დაწესებულებებს და კერძო ფირმებს და პირებს

აღნიშნულ ვადამდე

ესე იგი ამა წლის 31 იანვრამდე

დაფარონ თავიანთი ვალები

წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი შეღავათი [illegible] დაკმაყოფილებული არ იქნება და [illegible] კი გადახდევინებს ოქროს კურსის მიხედვით სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად 1922 წ. 5 დეკემბრის თარიღით და 61 №-ით.

გამგეობა.

(კრ. 77 4 3)

სახლი

ვისაც უნდა სასწრაფოდ იყიდოს ან გაყიდოს, უნდა მიმართოს [illegible] სახ. 8 ბინა 2, რუსთაველის პროსპექტის მახლობლად დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

(70—1—1)

ქ. ტფილისის 1-ლი რაიონის სახალხო მოსამართლე იწვევს სასამართლოში ნიკოლოზ ვასილის ძე კარაინგოზოვს, სერგეი [illegible] ძე ლორთქიფანიძეს, ვარდენ ოქროპირის ძე ნანეიშვილს, ვლადიმერ [illegible] ძე [illegible] და ეკატერინე სერგოს ასულ [illegible], როგორც მოპასუხეებს [illegible] და აფრთხილებთ მათ რომ თუ ისინი ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდებიან დანიშნულ საქმე და გამოტანილი იქნება დაუსწრებლად დადგენილება.

1 ლი რაიონის სახალხო სასამართლო იმყოფება სასამართლოს ქ. [illegible]

(69—1—1) სახალხო მოსამართლე ა. [illegible]

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობით

ნერვულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდით [illegible] საჭიროებენ. ექიმობა სიფილისის [illegible] დაწვრილებით [illegible] საავადმყოფო სწორმორებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (788—3[illegible])

ტირაჟი 10,000 [illegible]

[illegible] № 4.